585/2
388

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 11

1988

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ბროლეტარეფო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

18 921

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№11 (580) ნოემბერი 1988 წელი

შინაარსი

განაგრძობა პირველი

292. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. გ. ჯინჯიხა-ძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

293. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ რაიონულ ცენტრებში განლაგებული სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული და-ქვემდებარების) და სადაბო საბჭოების გაუქმებისა და ზოგიერთი რაიონის აღმინის-ტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

294. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომი-ტეტის გაუქმების შესახებ.

295. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების შესახებ.

296. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება რესპუბლიკაში „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ და „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ საბჭოთა სო-ციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონთა პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის მიმდინარეობის თაობაზე.

297. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ნ. გლურ-ჯიძის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრად და-ნიშვნის შესახებ.

სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

298. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

299. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

300. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

301. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

302. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

303. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სისტემაში ცვლილებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

304. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

305. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

306. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ და „სსრ კავშირის საბჭოთა რეპუტატთა არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონთა პროექტების საქართველოს სს რესპუბლიკაში საყოველთაო-საბალოო განხილვის მიმდინარეობის თაობაზე.

307. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დედაქალაქში საბასპორტო რეჟიმის დაცვისა და მოსახლეობის მექანიკური ზრდის შემცირების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამო.

განკოფილება მეორე

308. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

309. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ა. ნიდარეიშვილის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

310. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

311. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ს. პაპიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

312. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მიხაილ ზიჩის ქანდაკების ავტორთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

313. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

314. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროსა და საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს სისტემის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

315. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. მ. ზირაქიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

316. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ა. ცისკარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

317. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

318. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

319. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ს. ჯიქიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

320. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ა. ლაბახუასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

321. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედიცინის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

322. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. ნ. გოგიტიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

323. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება უმაღლესი სკოლის მუშაკთათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.**

324. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება საქართველოს სსრ პუბლიციტეტების სამინისტროს მუშაკებისათვის საქართველოს სსრ სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.**

325. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ვ. ი. ახალაძისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.**

326. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ვ. მ. ბარამძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.**

327. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. გ. გ. ბოშაძისათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.**

328. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. გ. ს. მამაცაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.**

329. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ვ. ნ. პინჩუკოვისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.**

330. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. პ. ა. სვანაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.**

331. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.**

332. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. შ. შ. დობორჯგინიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.**

333. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. გ. ნ. ლომინაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.**

334. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. გ. ტ. ნანეიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.**

335. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. დ. ს. ოდილავაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.**

336. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ფ. ტ. შატბერაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

337. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ნ. შირინ-ევასათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ სატიტო წოდების მინიჭების შესახებ.

338. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. ლ. შონია-სათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“ სატიტო წოდების მინიჭების შესახებ.

339. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ვ. ჭყონია-სათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ სატიტო წოდების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

292 **ამბ. ვ. ბ. ჯინჯიხაძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამბ. ვაჟა გერონტის ძე ჯინჯიხაძე საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 1 ნოემბერი.
№ 1944—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

293 **საქართველოს სსრ რაიონულ ცენტრებში განლაგებული სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) და სადაბო საბჭოების გაუქმებისა და ზოგიერთი რაიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შეტანის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გაუქმდეს საქართველოს სსრ რაიონულ ცენტრებში განლაგებული სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) და სადაბო საბჭოები.

2. შეტანილ იქნეს ზოგიერთი რაიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შემდეგი ცვლილებები:

ადიგენის რაიონის ადიგენის სადაბო საბჭოს გამოეყოს სოფლები: ადიგენი, გორგული, წრე და გადაეცეს ჩორჩანის სასოფლო საბჭოს დაქვემდებარებაში;

ამბროლაურის რაიონის ამბროლაურის საქალაქო საბჭოს გამოეყოს სოფლები: ახალსოფელი, გორი, ზემო კრიხი, იწა, ქვემო კრიხი, შუა კრიხი და შეიქმნას იწის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ იწაში;

ასპინძის რაიონის ასპინძის სადაბო საბჭოს გამოეყოს სოფელი ოთა და შეიქმნას ოთის სასოფლო საბჭო;

ახმეტის რაიონის ახმეტის საქალაქო საბჭოს გამოეყოს სოფლები: ახალშენი, ბუდაანი, ვეძები, ინგეთი, კოჯორი, ნადუქნარი, ოსიაური, საბუე, საჩალე, შახვეტილა, ჩაჩხრიალა, ჭართალა და შეიქმნას ცხრაკარის სასოფლო საბჭო ცენტრით ქალაქ ახმეტაში;

ბოგდანოვკის რაიონში გაუქმდეს ბოგდანოვკის საქალაქო საბჭოში შემავალი სოფელი ხოჯაბეგი ქალაქ ბოგდანოვკასთან მისი ტერიტორიულად შეზრდის გამო;

ბოლნისის რაიონის ბოლნისის საქალაქო საბჭოს გამოეყოს სოფლები: მიგირლო, რატევანი, რაჭისუბანი, სარალარი, წითელსოფელი, ჯაფარლო; სოფლების რატევანისა და სარალარის ბაზაზე შეიქმნას რატევანის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ რატევანში, ხოლო სოფლების: მიგირლოს, რაჭისუბნის, წითელსოფლისა და ჯაფარლოს ბაზაზე — რაჭისუბნის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ რაჭისუბანში;

გარდაბნის რაიონში გაუქმდეს გარდაბნის საქალაქო საბჭოში შემავალი სოფელი ქვემო კაპანახჩი ქალაქ გარდაბანთან მისი ტერიტორიულად შეზრდის გამო;

გეგეჭკორის რაიონში გაუქმდეს გეგეჭკორის საქალაქო საბჭოში შემავალი სოფლები ნალეფსო და ქვაითი ქალაქ გეგეჭკორთან მათი ტერიტორიულად შეზრდის გამო;

დმანისის რაიონის დმანისის საქალაქო საბჭოს გამოეყოს სოფელი იაყუბლო, ქვემო ოროზმანის სასოფლო საბჭოს — სოფელი პანტიანი, ყიზილქილისის სასოფლო საბჭოს — სოფელი შინდლარი და მათ ბაზაზე შეიქმნას დმანისის სასოფლო საბჭო ცენტრით ქალაქ დმანისში;

დუშეთის რაიონის დუშეთის საქალაქო საბჭოს გამოეყოს სოფლები ვარსიმაანი და პირმისაანი და გადაეცეს ბაზალეთის სასოფლო საბჭოს დაქვემდებარებაში;

ვანის რაიონის ვანის საქალაქო საბჭოს გამოეყოს სოფლები ზედა ვანი და ტყეულვანი და მათ ბაზაზე შეიქმნას ზედა ვანის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ზედა ვანში;

თეთრი წყაროს რაიონის თეთრი წყაროს საქალაქო საბჭოს გამოეყოს სოფლები აბელიანი, გუდარეხი, ქსოვრეთი, ხოპისი და გადაეცეს ჩხიკვთის სასოფლო საბჭოს;

თიანეთის რაიონის თიანეთის სადაბო საბჭოს გამოეყოს სოფლები: ალოტი, ბოკონი, ევენტი, თეგერაანები, თეთრახევა, ლელოვანი, მამადაანები, ყებოტა, საჭურე, ჩეკურაანთგორი, ძებნიაურები, ძირხვნიანი, ჭურჭელაურები; სოფლების: თეგერაანების, თეთრახევას, ლელოვნის, მამადაანების, ყებოტის, საჭურის, ძებნიაურების, ჭურჭელაურების ბაზაზე შეიქმნას ყებოტის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ყებოტაში, ხოლო სოფლების: ალოტის, ბოკონის, ევენტის, ჩეკურაანთგორის, ძირხვნიანის ბაზაზე — ჩეკურაანთგორის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ჩეკურაანთგორში;

კასპის რაიონის კასპის საქალაქო საბჭოს გამოეყოს სოფელი მირიანი და გადაეცეს კავთისხევის სასოფლო საბჭოს დაქვემდებარებაში, ხოლო სოფელი მიქელწყარო გაუქმდეს ქალაქ კასპთან მისი ტერიტორიულად შეზრდის გამო;

ლანჩხუთის რაიონში გაუქმდეს ლანჩხუთის საქალაქო საბჭოში შემავალი სოფელი ლაშისღელე ქალაქ ლანჩხუთთან მისი ტერიტორიულად შეზრდის გამო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენტეხის რაიონის ლენტეხის სადაბო საბჭოს გამოეყოს სოფლებმ: ბა-ბილი, გულიდა, კახურა, ლასკადური, ლექსურა, მაცხვარალმეზური, მელურა, ყარიში და შეიქმნას ლექსურის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ლექსურაში;

მცხეთის რაიონის მცხეთის საქალაქო საბჭოს გამოეყოს ბაბა ზაჰესი, სოფლები კარსანი და მუხათგვერდი და შეიქმნას ზაჰესის სადაბო საბჭო ცენტრით ბაბა ზაჰესში;

ორჯონიკიძის რაიონის ორჯონიკიძის სადაბო საბჭოს გამოეყოს სოფლები: თეთრაწყაროს, ჩხერი, ჯაფარაული და გადაეცეს სოფელი თეთრაწყაროკიცხის სასოფლო საბჭოს, სოფლები ჩხერი და ჯაფარაული — საღანძილის სასოფლო საბჭოს დაქვემდებარებაში, ხოლო სოფელი პატარა ხარაგაული გაუქმდეს ბაბა ორჯონიკიძესთან მისი ტერიტორიულად შეზრდის გამო;

საჩხერის რაიონის საჩხერის საქალაქო საბჭოს გამოეყოს სოფლები დუნთა და სხვიტორი და გადაეცეს ჩიხის სასოფლო საბჭოს;

სიღნაღის რაიონში გაუქმდეს სიღნაღის საქალაქო საბჭოში შემავალი სოფელი ქედელი ქალაქ სიღნაღთან მისი ტერიტორიულად შეზრდის გამო;

ქარელის რაიონის ქარელის საქალაქო საბჭოს გამოეყოს სოფლები: აფნისი, ბებნისი, გომბორი, ზემო ლეთეთი, ქვემო ლეთეთი და შეიქმნას ბებნისის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ბებნისში;

ყვარლის რაიონის ყვარლის საქალაქო საბჭოს გამოეყოს სოფელი სანავარდო და გადაეცეს კუჭატნის სასოფლო საბჭოს დაქვემდებარებაში;

ჩოხატაურის რაიონის ჩოხატაურის სადაბო საბჭოს გამოეყოს სოფელი გუთური და გადაეცეს ჩაისუბნის სასოფლო საბჭოს დაქვემდებარებაში;

ჩხოროწყუს რაიონში გაუქმდეს ჩხოროწყუს სადაბო საბჭოში შემავალი სოფელი გარახა დაბა ჩხოროწყუსთან მისი ტერიტორიულად შეზრდის გამო;

ცაგერის რაიონის ცაგერის საქალაქო საბჭოს გამოეყოს სოფლები: გვესო, ლასხანა, ქვედა ცაგერი, ჩხუტელი, ჭალისთავი და შეიქმნას ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ქვედა ცაგერში;

წალენჯიხის რაიონში გაუქმდეს წალენჯიხის საქალაქო საბჭოში შემავალი სოფელი მაზანდარა ქალაქ წალენჯიხასთან მისი ტერიტორიულად შეზრდის გამო;

წალკის რაიონის წალკის საქალაქო საბჭოს გამოეყოს სოფლები: ახალიკი, ქვემო ხარაბა, შიპიაკი, ჩაპაევკა; სოფლების: ახალიკის, ქვემო ხარაბის და შიპიაკის ბაზაზე შეიქმნას ახალიკის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ახალიკში. სოფელი ჩაპაევკა გადაეცეს ორიალეთის სადაბო საბჭოს დაქვემდებარებაში; სოფელი ხადიკი გაუქმდეს ქალაქ წალკასთან მისი ტერიტორიულად შეზრდის გამო;

წითელი წყაროს რაიონში გაუქმდეს წითელი წყაროს საქალაქო საბჭოში შემავალი დაბა მირზაანი და სოფელი პატარა შირაქი იმის გამო, რომ იქ მოსახლეობა აღარ ცხოვრობს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხობის რაიონის ხობის საქალაქო საბჭოს გამოეყოს სოფლები მეორე გურიფული და პირველი გურიფული და შეიქმნას გურიფულის სასოფლო საბჭო ცენტრით მეორე გურიფულში.

3. შეუნარჩუნდეთ გაუქმებულ საბჭოებში შემავალი სოფლებიდან საქალაქო და სადაბო საბჭოებში არჩეულ დეპუტატებს უფლებამოსილებანი სახალხო დეპუტატთა იმ სასოფლო და სადაბო საბჭოებში, რომელთა დაქვემდებარებაშიც გადადიან ეს სოფლები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 2 ნოემბერი.
№ 1945—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

294 საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაუქმდეს საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 5 ნოემბერი.
№ 1948—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

295 საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაუქმდეს საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი და მისი ფუნქციები გადაეცეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 10 ნოემბერი.
№ 1950—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

296 **რესპუბლიკაში „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ და „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონთა პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის მიმდინარეობაზე, ანონიმურ ანკეტირებაზე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, იმსჯელა რა რესპუბლიკაში „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ და „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონთა პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის მიმდინარეობაზე, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მშრომელები, ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, დიდი ინტერესითა და ენთუზიაზმით, საქმიანად ჩაებნენ ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ კამპანიაში. კანონპროექტები განიხილება შრომითი კოლექტივების კრებებზე, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, სხვა საზოგადოებრივ, სამეურნეო ორგანიზაციებში, შემოქმედებითს კავშირებში, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში, არაფორმალურ გაერთიანებებში, ხალხმრავალ მიტინგებზე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შემოდის აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა წერილები, რომლებშიც ისინი გამოთქვამენ თავიანთ აზრს, წინადადებებს, შენიშვნებს. ბევრი მოსაზრება და წინადადება ისახება რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე, რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებში. სულ დღეისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შემოსულია ათასზე მეტი გამოხმაურება ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეებისაგან.

შემოსული წინადადებები და შენიშვნები ოპერატიულად ანალიზდება და მათგან უფრო აქტუალური იგზავნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სადაც დეპუტატთა სპეციალური კომისია განაზოგადებს კანონთა პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის მასალებს. ამ მუშაობაში მონაწილეობენ რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების წარმომადგენლები, სპეციალისტთა ფართო წრე. აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სპეციალური კომისია ყურადღებით ეკიდება და ითვალისწინებს რესპუბლიკებიდან მიწოდებულ წინადადებებს, შენიშვნებს, მოსაზრებებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შემოსული მასალების ანალიზი შოწმობს, რომ რესპუბლიკის მშრომელები ძირითადად იწონებენ და მხარს უჭერენ აღნიშნულ კანონპროექტებში მოცემულ დებულებებს; ამასთან ერთად გამოთქვამენ მთელ რიგ საქმიან წინადადებებსა და შენიშვნებს, რომელთა გათვალისწინება სრულყოფს განსახილველი კანონების პროექტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ეყრდნობა და მხარს უჭერს რა რესპუბლიკის მშრომელებს, ფართო საზოგადოებრიობის აზრს, **ადგენს:**

I. საქართველოს საზოგადოებრიობის მოთხოვნის შესაბამისად აუცილებლად ჩაითვალოს „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ კანონის პროექტში შემდეგი ცვლილებების შეტანა:

1. 108-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომლითაც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას ენიჭება უფლება მიიღოს გადაწყვეტილება სსრ კავშირის შემადგენლობის საკითხებზე ეწინააღმდეგება მოქმედი კონსტიტუციის 72-ე მუხლს, რომელიც თვალისწინებს ყოველი მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენულ უფლებას თვითონ გადაწყვიტოს სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფის საკითხი და მიუღებელია ამ პუნქტის კანონპროექტში შემოთავაზებული რედაქციით დატოვება; ამასთან დაკავშირებით აუცილებელია 108-ე მუხლის მეორე პუნქტში სიტყვები „გადაწყვეტილებათა მიღება სსრ კავშირის შემადგენლობის საკითხზე“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკების მიღება“, რითაც შენარჩუნებულ იქნება სსრ კავშირის შემადგენლობის საკითხებზე ხელისუფლების უმაღლესი ორგანოსთვის სადღეისოდ მინიჭებული უფლებამოსილებანი.

2. ასევე მიუღებელია 119-ე მუხლის მე-13 პუნქტის ის რედაქცია, რომლითაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უფლება ენიჭება გამოაცხადოს სამხედრო ან საგანგებო წესები ცალკეულ ადგილებში ან მთელ ქვეყანაში სსრ კავშირის დაცვის ინტერესებისათვის და აუცილებლობის შემთხვევაში დაწესოს მართვის განსაკუთრებული ფორმები. ამით იზღუდება რესპუბლიკის სუვერენული უფლება თვითონ გადაწყვიტოს თავის ტერიტორიაზე საგანგებო წესებისა და მით უმეტეს მართვის განსაკუთრებული ფორმების შემოღების საკითხები. სამხედრო და საგანგებო წესების შემოღება სამხედრო და საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონის შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პრერეგატივაა; მაგრამ რომელიმე რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და მართვის განსაკუთრებული ფორმების შემოღება უნდა გადაწყდეს მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თხოვნით ან მასთან შეთანხმებით.

3. მართებულია განისაზღვროს, რომ მოქალაქე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი საბჭოს დეპუტატი და გამონაკლისი დაიშვას მხოლოდ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეებისთვის.

4. გადაისინჯოს 111-ე მუხლით შემოთავაზებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოში მოკავშირე რესპუბლიკებიდან და ავტონომიური ფორმირებებიდან წარმომადგენლობის ნორმები. ამ ორგანოში აუცილებლად უნდა გაიზარდოს მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. 152-ე მუხლის თანახმად რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს ირჩევენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული საბჭოები. მხარდასაჭერია წინადადება რაიონული (საქალაქო) სახალხო მოსამართლეების ზემდგომი საბჭოს მიერ არჩევის შესახებ.

6. მხარდასაჭერია წინადადებაც იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლები.

II. „რესპუბლიკაში „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ და „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონთა პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის პროცესში გამოთქმული და მოცემულ დადგენილებაში ჩამოყალიბებული წინადადებები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პოზიცია მოხსენდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

III. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული პოზიცია და ეს დადგენილება მოხსენდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეათე სესიას.

IV. მოწონებულ იქნეს საქართველოს სს რესპუბლიკიდან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩეული დღევანდელი სხდომის მონაწილე დეპუტატების განცხადება იმის შესახებ, რომ თავიანთი ამომრჩეველების აზრსა და ნებასურვილს მოახსენებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 19 ნოემბერი.
№ 1973—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

297 ამხ. ა. ნ. გლურჯიძის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ნოდარის ძე **გლურჯიძე** საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 22 ნოემბერი.
№ 1974—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

298 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. არჩეულ იქნეს ამხ. ვალერიან თენგიზის ძე **ჩრუსტალი** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად.

2. განთავისუფლდეს ამხ. ხაჯიმურატ დიმიტრის ძე **ვალიევი** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე **გადასვლასთან** დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 ნოემბერი.
№ 1997—XI

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მილებული კანონები და დადგენილებები

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

299 საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმა იმ შესწორებათა გათვალისწინებით, რომლებიც შემოიტანეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო, მრეწველობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის, აგროსამრეწველო კომპლექსის, მეცნიერებისა და ტექნიკის, სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების, საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, სახალხო განათლებისა და კულტურის, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების, ახალგაზრდობის საქმეთა, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების მუდმივმა კომისიებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1989 წელს ყველა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს მუშაობის მთავარ მიმართულებად ჩაითვალოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის მითითებათა პრაქტიკული რეალიზაცია. ამ მიზნით საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესებზე, მისი ყველა ფენის სოციალური და პოლიტიკური აქტიურობის გაძლიერებაზე, პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის, საჯაროობის განვითარების ღონისძიებათა განხორციელებაზე დაყრდნობით მთელი ორგანიზატორული და სამეურნეო საქმიანობა მოხმარდეს ხალხის კეთილდღეობის საარსებო პრობლემების გადაჭრის დაჩქარებას საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურაში პროგრესული ცვლილებების, მისი მყარი და დინამიკური განვითარების უზრუნველყოფის, ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ფაქტორების ეფექტიანობის გადიდებისა და მათი როლის გაძლიერების, ყველა სახეობის რესურსების ეკონომიის მკაცრი რეჟიმის განხორციელების საფუძველზე.

მუხლი 2. დაწესდეს 1989 წლისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების შემდეგი უმნიშვნელოვანესი საერთო-ეკონომიკური მაჩვენებლები.

	მატება პროცენტობით 1988 წლის გეგმასთან შედარებით
წარმოებული ეროვნული შემოსავალი	5,0
რეალური შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე	3,5
მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები	6,7
საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა	4,2
მოსახლეობისათვის გაწეული ფასიანი მომსახურების რეალიზაციის მოცულობა	5,3
შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობის მიხედვით:	
მრეწველობაში	4,1
მშენებლობაში	3,4
მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	6,1
კაპიტალური დაბანდებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით	5,3

უზრუნველყოფილ იქნეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებათა თანამიმდევრული განხორციელება დადგენილი წესით.

მუხლი 3. ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერების კურსის შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნეს სოციალურ-კულტურული სფეროს მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცება და 1989 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მეურნეობის მიხედვით დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე საექსპლუატაციოდ გადაეცეს:

საცხოვრებელი სახლები, ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი	1771,9
სკოლამდელი დაწესებულებანი, ათასი ადგილი	17,41
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, ათასი ადგილი	32,3
კლუბები და კულტურის სახლები, ათასი ადგილი	9,8
საავადმყოფოები, ათასი საწოლი	1,7
ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებანი, ათასი მიღება ცვლაში	3,24
ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატები, ათასი ადგილი	0,3

მუხლი 4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესმა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭომ, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა მთელი ყურადღება მიაპყრონ იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომ უკვე 1989 წელს მიაღწიონ მოსახლეობისათვის საგრძნობ ძვრებს სასურსათო მომარაგების გაუმჯობესებაში, რომ უფრო სრულად კმაყოფილებიდეს მისი მოთხოვნილებანი არასასურსათო საქონელსა და სხვადასხვაგვარ მომსახურებაზე, გაუმჯობესდეს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია. ამ მიზნით მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი შესაძლებლობანი, ფართოდ ჩაბან სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასა და მოსახურების სფეროს განვითარებაში საწარმოები და გაერთიანებები მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, მიაღწიონ, რომ მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა შეწონასწორებული იყოს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისა და ფასიანი მომსახურების გაწევის მოცულობასთან.

მუხლი 5. იმის გათვალისწინებით, რომ 1989 წელს მთავრდება სახალხო მეურნეობის ყველა საწარმოო დარგის საწარმოთა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებმა და საწარმოებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უზრუნველყონ ახალი სამეურნეო მექანიზმის ყველა რგოლის ურთიერთმქმედების დამუშავების, წარმოების მართვაში დემოკრატიული საწყისებისა და ეკონომიკური მეთოდების შემდგომი განვითარების, შემოსავლის ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებული სამეურნეო ანგარიშის ფორმის გამოყენების და გრძელვადიანი საარნდნო ურთიერთობის გაფართოების, კოოპერაციისა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარების ღონისძიებათა განხორციელება.

მუხლი 6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა ყოველმხრივ გამოიყენონ მინიჭებული უფლებები ეკონომიკური,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური და ბუნების დაცვის ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტისათვის, ამასთან უზრუნველყონ, რომ ოპტიმალურად ეხამებოდეს რეგიონალური ინტერესები საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს, აგრეთვე განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი შესაბამის ტერიტორიებზე სახალხო მეურნეობის მართვის ეფექტიანობის გაზრდისა და რეგიონალური თვითდაფინანსების პრინციპებზე გადასვლის მომზადებისათვის.

მუხლი 7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

18.9.21

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Თ. ᲙᲐᲠᲐᲪᲣᲚᲘᲐ.

თბილისი, 1988 წლის 23 ნოემბერი.
№ 138—XI ს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

300 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ 1988 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს მისი შესრულებისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების წინადადებები და შენიშვნები, აგრეთვე დეპუტატების მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Თ. ᲙᲐᲠᲐᲪᲣᲚᲘᲐ.

თბილისი, 1988 წლის 23 ნოემბერი.
№ 139—XI ს.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. იერსებ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

301 საქართველოს სსრ 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რესპუბლიკის რაიონების საბჭოების სესიების მიერ დამტკიცებული შესაბამისი ბიუჯეტებისა (რომელთა შემოსავლისა და გასავლის მოცულობა შეადგენს 1.220.734 ათას მანეთს) და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 4.156.582 ათასი მანეთის ოდენობით.

განისაზღვროს საქართველოს სსრ 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო შემოსავალში საკავშირო ბიუჯეტიდან გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრები 751.552 ათასი მანეთისა და საბიუჯეტო სესხი 210.000 ათასი მანეთის, — სულ 961.552 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან შემოსავალი 3.477.441 ათასი მანეთის საერთო თანხის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახალხო მეურნეობის დაფინანსების ხარჯები 1.889.762 ათასი მანეთის საერთო თანხის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ასიგნებანი 2.026.890 ათასი მანეთის საერთო თანხის ოდენობით, მათ შორის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის საკავშირო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხარჯზე — 448.000 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და სასამართლოების შესანახი ასიგნებანი 45.778 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1989 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 2.935.848 ათასი მანეთის ოდენობით და, გარდა ამისა, საკასო სპრუნვავი სახსრები 1989 წლის 1 იანვრისათვის 37.510 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 7. მიღებულ იქნეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რესპუბლიკის რაიონების საბჭოების სესიების მიერ დამტკიცებული საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1989 წლის, ბიუჯეტები შემოსავლისა და გასავლის ნაწილში შემდეგი ოდენობით:

(ათასი მანეთი)

1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	**113.431,4**
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	**85.902,5**
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	**32.722,2**
4. ქალაქი თბილისი	**435.614,7**
5. ქალაქი ქუთაისი	**67.604,6**
6. ქალაქი ფოთი	**18.115,6**
7. ქალაქი შიათურა	**12.620,8**
8. ქალაქი რუსთავი	**46.713,8**
9. ქალაქი გორი	**9.447,5**
10. ქალაქი ტყიბული	**7.176,0**
11. ქალაქი ზუგდიდი	**8.335,4**
12. ქალაქი წყალტუბო	**8.429,5**
13. ქალაქი მარნეული	**5.225,0**
14. აბაშის რაიონი	**5.512,0**
15. ადიგენის რაიონი	**4.789,6**
16. ამბროლაურის რაიონი	**4.387,2**
17. ასპინძის რაიონი	**3.749,0**
18. ახალქალაქის რაიონი	**9.866,9**
19. ახალციხის რაიონი	**9.212,5**
20. ახმეტის რაიონი	**6.918,8**
21. ბოგდანოვკის რაიონი	**6.577,5**
22. ბოლნისის რაიონი	**9.764,6**
23. ბორჯომის რაიონი	**7.368,5**
24. გარდაბნის რაიონი	**11.934,0**
25. გეგეჭკორის რაიონი	**7.633,1**
26. გორის რაიონი	**9.714,2**
27. გურჯაანის რაიონი	**10.311.1**
28. დმანისის რაიონი	**7.562,8**
29. დუშეთის რაიონი	**7.197,5**
30. ვანის რაიონი	**6.051,0**
31. ზესტაფონის რაიონი	**10.682**
32. ზუგდიდის რაიონი	**9.982,8**
33. თეთრი წყაროს რაიონი	**6.111,9**
34. თელავის რაიონი	**12.289,8**

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ათასი მანეთი)

35. თერჯოლის რაიონი	6.378,0
36. თიანეთის რაიონი	4.442,0
37. ასპის რაიონი	7.187,3
38. ლაგოდეხის რაიონი	8.294,1
39. ლანჩხუთის რაიონი	6.431,5
40. ლენტეხის რაიონი	3.951,0
41. მიიკოფსის რაიონი	5.424,1
42. მარნეულის რაიონი	9.733,9
43. მახარაძის რაიონი	14.049,6
44. მესტიის რაიონი	5.672,0
45. მცხეთის რაიონი	6.998,3
46. ონის რაიონი	3.642,7
47. ორჯონიკიძის რაიონი	5.459,4
48. საგარეჯოს რაიონი	7.666,9
49. სამტრედიის რაიონი	8.913,4
50. საჩხერის რაიონი	6.957,0
51. სიღნაღის რაიონი	7.709,6
52. ქარელის რაიონი	7.229,5
53. ყაზბეგის რაიონი	2.340,7
54. ყვარლის რაიონი	6.824,3
55. ჩოხატაურის რაიონი	5.450,7
56. ჩხოროწყუს რაიონი	6.172,7
57. ცაგერის რაიონი	4.640,8
58. ცხაკაიის რაიონი	7.988,4
59. წალენჯიხის რაიონი	7.472,8
60. წალკის რაიონი	7.797,5
61. წითელი წყაროს რაიონი	6.008,1
62. წულუკიძის რაიონი	6.602,7
63. ხაშურის რაიონი	8.237,1
64. ხობის რაიონი	6.101,0
სულ	1.220,734

მუხლი 8. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გადასცეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საბჭოების აღმასკომებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების მიერ გამოვლენილი დამატებითი შემოსავლები სოფელ ადგილებში განლაგებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობა-ნაგებობათა კაპიტალური რემონტისათვის 630 ათასი მანეთი, სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების შენო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბების კაპიტალური რემონტის, ამ საბჭოებისათვის ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად — 430 ათასი მანეთი.

მუხლი 9. დაეგალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც მოცემულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში საქართველოს სსრ 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები, და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 ნოემბერი.
№ 140—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

302 საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში — 3.881.392 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში — 3.776.729 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 104.663 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 ნოემბერი.
№ 141—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

303 რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სისტემაში ცვლილებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებში და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **აღგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1988 წლის 4 ივლისისა — „საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ“;

1988 წლის 13 ივლისისა — „საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ“;

1988 წლის 26 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს გაუქმების შესახებ.

1988 წლის 10 ოქტომბრისა — „საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1988 წლის 26 ოქტომბრისა — „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1988 წლის 31 ოქტომბრისა — „საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების შესახებ“;

1988 წლის 9 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების შესახებ“;

1988 წლის 10 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების შესახებ“.

2. ამ კანონის პირველ მუხლთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 253) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1) 25-ე მუხლდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს სსრ ხეტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო“ და „საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო“;

2) 26-ე მუხლში სიტყვები „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრო“, ხოლო სიტყვები „საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო“ — სიტყვებით „საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო“. ამასთან ამ მუხლიდან ამოღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ იქნეს სიტყვები „საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო“ და „საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო“;

3) 27-ე მუხლს დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი“ და ამ მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი“ და „საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი“;

4) 28-ე მუხლის ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველოს სსრ რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტებს განეკუთვნება „საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტი“;

5) 29-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველო“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 ნოემბერი.
№ 142—XI ს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

304 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

1988 წლის 9 აგვისტოსი — „საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ;

1988 წლის 9 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

1988 წლის 9 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 74-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ“;

1988 წლის 15 აგვისტოსი — „კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების დადგენილი წესის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1988 წლის 21 სექტემბრისა — „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში დამატებათა შეტანის თაობაზე“;

1988 წლის 18 ოქტომბრისა — „1989—1990 წლების საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების ექსპერიმენტის წესით დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 ნოემბერი.
№ 143—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

305 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

1988 წლის 6 ივლისისა ამხ. კ. კ. გარდაფხაძის საქართველოს სსრ სოციალისტური უზრუნველყოფის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ პირადი თხოვნის თანახმად პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით;

1988 წლის 6 ივლისისა ამხ. ვ. ი. კაჟარავას საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1988 წლის 6 ივლისისა ამხ. ბ. თ. ლობჟანიძის საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1988 წლის 10 აგვისტოსი ამხ. შ. ი. ჭალაგანიძის საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1988 წლის 26 სექტემბრისა ამხ. ა. ო. მოვსესიანის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1988 წლის 11 ოქტომბრისა ამხ. ნ. ნ. ნეფედოვის საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1988 წლის 25 ოქტომბრისა ამხ. ნ. ვ. ვაშაძის საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით;

1988 წლის 1 ნოემბრისა ამხ. ვ. გ. ჯინჯიხაძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1988 წლის 22 ნოემბრისა ამხ. ა. ნ. გლურჯიძის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 ნოემბერი.
№ 144—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

306 „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ და „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონთა პროექტების საქართველოს სს რესპუბლიკაში საყოველთაო-სახალხო განხილვის მიმდინარეობის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ჯ. ი. პატიაშვილის გამოსვლები რესპუბლიკაში „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ და „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონთა პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის მიმდინარეობის თაობაზე, **ადგენს:**

მოხსენდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მიზანშეუწონლად მიიჩნია „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) დამატებებისა და ცვლილებების შესახებ“ და „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების“ შესახებ სსრ კავშირის კანონთა პროექტების წარმოდგენილი სახით განხილვა და აუცილებლად თვლის ამ პროექტებში იმ ცვლილებათა შეტანას, რომლებსაც ითხოვს საქართველოს სსრ საზოგადოებრიობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროდ მიჩნია სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ახალი რედაქციის შემუშავების დაჩქარება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 ნოემბერი.
№ 145—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

307 დედაქალაქში საპასპორტო რეჟიმის დაცვისა და მოსახლეობის მექანიკური ზრდის შემცირების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაგო

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის დეპუტატ ი. ო. ანდრიაძის ინფორმაცია ქ. თბილისში საპასპორტო რეჟიმის დაცვისა და მოსახლეობის მექანიკური ზრდის შემცირების მდგომარეობის შესახებ;

დაევალოთ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონულ საბჭოებს უზრუნველყონ ჯეროვანი წესრიგი დედაქალაქში საპასპორტო რეჟიმის განმტკიცებისა და მოსახლეობის მექანიკური ზრდის შესამცირებლად.

2. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, წარმოება-დაწესებულებებს მკაცრად დაიცვან „ქ. თბილისის მოსახლეობის მექანიკური ზრდის რეგულირების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 თებერვლის № 46 დადგენილების მოთხოვნები.

3. რესპუბლიკის პროკურატურამ, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა გააძლიერონ კონტროლი დედაქალაქში საპასპორტო რეჟიმის განმტკიცებისა და მოსახლეობის მექანიკური ზრდის შემცირების მიზნით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 ნოემბერი.
№ 146—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

308 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დამნაშავეობასთან ბრძოლაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით **მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“** დაჯილდოდნენ:

ქნარიკ აღასის ასული **აკოფოვა** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე.

ივან იონის ძე **ბასოვი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილე.

ნოდარ მიხეილის ძე **ბერუაშვილი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების მორიგე.

ნოდარ ალექსანდრეს ძე **მაკალათია** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მეშვიდე განყოფილების უფროსი.

თეიმურაზ გრიგოლის ძე **მსხლაძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული.

ბადრი იურის ძე **პაპიაშვილი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების უფროსი თანამშრომელი.

ნოვრუზ ამირხან ოღლი **ღარიბოვი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების უფროსი თანამშრომელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 16 ნოემბერი.
№ 1956—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

309 ამხ. თ. ა. ნადარეიშვილის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და **დამნაშავეობასთან** ბრძოლაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილებასთან არსებული არასაუწყებო დაცვის განყოფილების მილიციის ასეულის მეთაური ამხ. თენგიზ ამბროსის ძე ნადარეიშვილი დაჯილდოდეს მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 ნოემბერი.
№ 1985—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

310 ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის ორგანიზაციაში მიღწეული წარმატებებისათვის **ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 14 ნოემბერი.
№ 1952—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

311 ამხ. ბ. ს. პაპიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ბონდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონის ძე პაპაძეს დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 15 ნოემბერი.
№ 1955—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

312 მიხაი ზიჩის ძანდაკეგის ავტორთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვების შესახებ

გამოჩენილი უნგრელი მხატვრის, პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების ავტორის მიხაი ზიჩის ძეგლის შექმნისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

შანდორ კიში — მოქანდაკე.

დიერდ ვოდაკი — არქიტექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 18 ნოემბერი.
№ 1962—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

313 რესპუბლიკის უმაღლესი სასოლის მუშაკეგის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვების შესახებ

სასწავლო-აღმზრდელობით და სამეცნიერო მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

არკადი კონსტანტინეს ძე კოტია — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის პროფესორი.

ვახტანგ დავითის ძე **პარკაძე** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ზოგადი ფიზიკის კათედრის პროფესორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 18 ნოემბერი.
№ 1969—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

314 სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროსა და საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს სისტემის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის პურპროდუქტების კომბინატის საფქვავი ქარხნის ტექნიკურ გადაიარაღებაში წვლილისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

გურამ ივანეს ძე ბერიძე — სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს საქართველოს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო „მთავარელევატორმშენის“ ელექტროგასამართავი უბნის უფროსი ინჟინერი.

გივი მათეს ძე გალუსტაშვილი — სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს საქართველოს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო „მთავარელევატორმშენის“ მეამწევე.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გლადკიხი — თბილისის პურპროდუქტების კომბინატის ხარატი.

პეტრე თეოდორეს ძე ვნიპა — თბილისის პურპროდუქტების კომბინატის ზეინკალ-შემკეთებელი.

აშოტ კარაპეტის ძე დავითიანი — სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს საქართველოს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს „მთავარელევატორმშენის მშენებლობის ოსტატი.

ვლადიმერ ანდრიას ძე ვოლჩეკი — თბილისის პურპროდუქტების კომბინატის ელექტრომონტიორი.

თამაზ ნიკოლოზის ძე კანაშვილი — თბილისის პურპროდუქტების კომბინატის მთავარი მექანიკოსი.

ზინაიდა ალექსის ასული კონდრატიევა — თბილისის პურპროდუქტების კომბინატის ბრიგადირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ მათეს ძე **ლობაჩოვი** — სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს საქართველოს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო „მთავარელევატორმშენის“ ელექტრომონტიორი.

ანდრია ზაქარიას ძე **მათიაშვილი** — თბილისის პურპროდუქტების კომბინატის მტვირთავი.

მიხეილ ოგანეზის ძე **სიმონიანი** — სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს საქართველოს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო „მთავარელევატორმშენის“ ოსტატი.

ევგრაფი ლავრენტის ძე **ფაილოძე** — თბილისის პურპროდუქტების კომბინატის სამშენებლო საამქროს ოსტატი.

ჯონი სერგოს ძე **ფირცხალავა** — თბილისის პურპროდუქტების კომბინატის ძირითადი საამქროს ზეინკალი.

ოზბეგი აბელის ძე **ფოფხაძე** — თბილისის პურპროდუქტების კომბინატის დირექტორის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 18 ნოემბერი.
№ 1971—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

315 ამხ. ლ. მ. ზირაქიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მედიცინის დარგში აქტიური ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი ამხ. ლემი მიხეილის ძე **ზირაქიშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 18 ნოემბერი.
№ 1960—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

316 ამხ. მ. ა. ცისკარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ენერგეტიკული მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს საწარმოო-სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენის“ უფროსი ამხ. მიხეილ აპოლონის ძე **ცისკარიშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. **კვპარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 18 ნოემბერი.
№ 1961—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

317 სსრ კავშირის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილისათვის, XXIV ოლიმპიურ თამაშობებში მონაწილეობის მიაღწევად საქართველოს სს რესპუბლიკის სპორტსმენთა მომზადებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდნენ სსრ კავშირის სპორტის სახელმწიფო **კომიტეტის** მუშაკები:

ლეონიდ იაკობის ძე **არკაევი** — სსრ კავშირის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ტანვარჯიშის სამმართველოს უფროსი.

ივანე სერგის ძე **იარიგინი** — **სსრ კავშირის სპორტის** სახელმწიფო კომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში.

გენადი ივანეს ძე **კალეტკინი** — **სსრ** კავშირის სპორტის სახელმწიფო **კომიტეტის** სახელმწიფო **მწვრთნელი** ძიუდოში.

დიმიტრი გიორგის ძე **მინდიაშვილი** — **სსრ** კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში.

ალექსანდრე პეტრეს ძე **პერეკალსკი** — სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი რაპირით ფარიკაობაში.

ლევან გიორგის ძე **სანაძე** — **სსრ** კავშირის სპორტის **სახელმწიფო** კომიტეტის **მძღოლობის** სამმართველოს **უფროსი.**

გენადი ანდრიას ძე **ხაპუნოვი** — სსრ კავშირის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის სპორტული ორთაბრძოლების სამმართველოს უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 ნოემბერი.
№ 1986—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

318 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტული კომპლექსის საექსპლუატაციოდ ვადამდე გადაცემისა და სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

თენგიზ გიორგის ძე აბუსერიძე — საქართველოს სსრ ფიზიკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ტრესტ „საქსპორტრემმშენის“ მმართველი.

ნოდარ პიმენის ძე პირველი — ტრესტ „საქსპორტრემმშენის“ № 1 სარემონტო-სამშენებლო კანტორის უფროსი.

ტარიელ დავითის ძე **ყორეულაძე** — ტრესტ „საქსპორტრემმშენის“ № 1 სარემონტო-სამშენებლო კანტორის მუშა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 ნოემბერი.
№ 1988—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

319 ამხ. ბ. ს. ჯიჟიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, სამეურნეო და **კომკავშირულ ორგანოებში** ხანგრძლივი ნაყოფიერი **მუშაობისათვის** **საქართველოს** **კომპარტიის** **ცენტრალური** **კომიტეტის** **სოფლის** **მეურნეობისა** **და** **კვების** **მრეწველობის** **განყოფილების** **გამგე** **ამხ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბონდო სერაფიონის ძე ჯიქია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 ნოემბერი.
№ 1990—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

320 ამხ. ზ. ა. ლაბახუასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და **სამეურნეო** ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ზურაბ აკაკის ძე **ლაბახუას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“** საპატიო **წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 4 ნოემბერი.
№ 1946—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

321 მედიცინის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მედიცინის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **საპატიო წოდება:**

„საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი“

ნინო ივანეს ასულ **კიკაბიძეს** — ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექიმ-ტრავმატოლოგს.

მზია ილიას ასულ **პატიაშვილს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს № 2 საავადყოფო-პოლიკლინიკის **სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტის ექიმს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ნიკოლოზის ასულ წივწივაძე-მესხს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის გამგეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორი“

შალვა ძუკუს ძე მარღანიას — მთავარი სააფთიაქო სამმართველოს № 2 რესპუბლიკური სააფთიაქო ბაზის სპეცუზრუნველყოფის განყოფილების **გამგის მოადგილეს.**

ლიანა გიორგის ასულ მიმინოშვილს — ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის **ცენტრალური აფთიაქის გამგეს.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 5 ნოემბერი.
№ 1949—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

322 ამხ. ჯ. ნ. გოგიტიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის გარნიზონის სამხედრო პროკურორს ამხ. ჯემალ ნიკოლოზის ძე **გოგიტიძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 ნოემბერი.
№ 1951—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

323 უმაღლესი სკოლის მუშაკთათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო მუშაობისათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ:

რუბენ გრიგოლის ძე **მანკულოვს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამრეწველო საწარმოთა ელექტრომოწყობილობის კათედრის დოცენტს.

თეიმურაზ ვლადიმერის ძე **მგალობლიშვილს** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანს.

კლავდია შალვას ასულ **ნუცუბიძეს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლითონსაჭრელი ჩარხების კათედრის უფროს მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 18 ნოემბერი.
№ 1970—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

324 საქართველოს სსრ პურაროდუქტების სამინისტროს მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ პურაროდუქტების სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

თამაზ ფარსადანის ძე **ახალკაცს** — საქართველოს სსრ პურაროდუქტების სამინისტროს პურპროდუქტების წარმოების სამმართველოს უფროსს.

ჯემი ალექსანდრეს ძე **თხილავას** — საქართველოს სსრ პურაროდუქტების სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარ ინჟინერს.

ნიკოლოზ გიორგის ძე **ზუმბაძეს** — საქართველოს სსრ პურაროდუქტების სამინისტროს მთავარი მექანიკოსისა და მთავარი ენერგეტიკოსის სამმართველოს **უფროსს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სელმან იუსუფის ძე **სირაბიძეს** — თბილისის პურპროდუქტების კომბინატის მთავარ ინჟინერს.

გიორგი სტეფანეს ძე **ტატენაშვილს** — სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს საქმთავარელევატორ-მშენის მთავარ ინჟინერს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი"

თამაზ ივანეს ძე **გელაშვილს** — თბილისის პურპროდუქტების კომბინატის დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 18 ნოემბერი.
№ 1972—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

325 ამხ. ვ. ი. ახალაძისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საგამომცემლო საქმის ორგანიზაციისათვის გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ვალენტინა იაკობის ასულ **ახალაძეს** მიენიჭოს „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 18 ნოემბერი.
№ 1963—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

326 ამხ. ვ. მ. გარამიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტთან არსებული საკავშირო საწარმოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანება „სოიუზაგროპრომტარის“ კონტეინერითა და პაკეტით ,,გლდანი-ვის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი ინჟინერს ამხ. ვახტანგ მიხეილის ძე ბარამიძეს მიენიჭოს ,,საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 18 ნოემბერი.
№ 1964—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

327 ამხ. ბ. ბ. გოშაძისათვის ,,საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო მუშაობისათვის, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგეს პროფესორ გივი გიორგის ძე **გოშაძეს** მიენიჭოს ,,**საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის**“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 18 ნოემბერი.
№ 1966—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

328 ამხ. ბ. ს. მამაცაშვილისათვის ,,საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის სსრ კავშირის **წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარსაქწყალმშენის უფროსის** მოადგილეს ამხ. გურამ სპარტაკის ძე **მამაცაშვილს** მიენიჭოს ,,საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 18 ნოემბერი.
№ 1967—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

329 **ამხ. ვ. ნ. პინჩუკოვისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი შეშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალექსპლუატაციის“ კოლხეთის ზონის სარემონტო-სამშენებლო სამეშაოებისა და მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 15 მოძრავ-მექანიზებული კოლონის ექსკავატორის **მემანქანეს ამხ. ვიქტორ ნიკოლოზის ძე პინჩუკოვს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ** სოფლის მეურნეობის **დამსახურებული მექანიზატორის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 18 ნოემბერი.
№ 1968—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

330 **ამხ. პ. ა. სვანაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარსაქწყალმშენის ტრესტ „ალაზანმშენის“ მმართველის მოადგილეს ამხ. პავლე ამბროსის ძე **სვანაძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 18 ნოემბერი.
№ 1965—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

331 **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ჯუმბერ ალექსანდრეს ძე ოფხაიძეს — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის **რესპუბლიკური** საწარმოო გაერთიანება **„საქწყალ-**

ექსპლუატაციის“ მექანიკური მორწყვის თბილისის სამმართველოს უფროსს.

ომარ ნიკოლოზის ძე **თუშიშვილს** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქმთავარწყალმშენის ტრესტ „ორგწყალმშენის“ მთავარ ინჟინერს.

რევაზ მამიას ძე **კილაძეს** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქმთავარწყალმშენის საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 ნოემბერი.
№ 1987—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

332 ამხ. ზ. ზ. დოგორჯგინიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალექსპლუატაციის“ უფროსის პირველ მოადგილეს ამხ. შალვა შალვას ძე **დოგორჯგინიძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 ნოემბერი.
№ 1989—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

333 ამხ. ბ. ნ. ლომინაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დამნაშავეობასთან ბრძოლაში და სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად აქტიური ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს უფრო-

სის მოადგილეს ამხ. გივი ნიკოლოზის ძე ლომინაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 ნოემბერი.
№ 1992—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

334 ამხ. გ. ა. ნანეიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოციალისტური საკუთრების დაცვასთან ბრძოლაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილეს ამხ. გიორგი ალექსანდრეს ძე ნანეიშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 ნოემბერი.
№ 1991—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

335 ამხ. დ. ს. ოდილავაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის ამხ. დემი სერგოს ძე ოდილავაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 ნოემბერი.
№ 1998—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

336 **ამხ. შ. ა. შატბერაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების ევროპული მუშაობისა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის მადალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს პროფესორ ფრიდონ ალექსანდრეს ძე შატბერაშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 ნოემბერი.
№ 1996—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

337 **ამხ. ვ. ნ. შირიაევასათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საერთო განყოფილების სექტორის გამგეს ამხ. ვალენტინა ნიკოლოზის ასულ **შირიაევას** მიენიჭოს „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 ნოემბერი.
№ 1993—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

338 **ამხ. ე. ლ. ჭონიასათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ხობის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის

საწარმოს ტრაქტორისტთა ბრიგადის ბრიგადირს ამხ. ენდუში ლავრენტის ძე **შონიას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“** სპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 ნოემბერი.
№ 1994—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

339 ამხ. ო. ვ. ჭყონიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საკავშირო პროფსაბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს ტრესტ „საქკურორტმშენის“ მმართველს ამხ. ოთარ ვლადიმერის ძე **ჭყონიას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“** სპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 ნოემბერი.
№ 1995—XI

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები

19 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა. განხილულ იქნა საკითხი „რესპუბლიკაში სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ **და „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონთა პროექტების საყოველთაო სახალხო განხილვის მიმდინარეობის თაობაზე“.**

*
* *

23 ნოემბერს გაიმართა პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. სხდომაზე მოისმინეს საკითხები: საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეათე სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის შესახებ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანის თაობაზე, აგრეთვე საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1988 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის, საქართველოს სსრ 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წინასწარ განსახილველად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების მუშაობის **დამთავრების** შესახებ.

■

■ ■

სხდომამ, მოისმინა რა თერჯოლის სახალხო დეპუტატთა რაიონული **საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გ. ვ. მაკარიძის** და **საქართველოს სსრ** უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. ნ. ა. მემანიშვილის ინფორმაციები თერჯოლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა **მიერ მიცემული განაწესების რეალიზაციის მდგომარეობის** შესახებ, აღნიშნავს, რომ რაიონის ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასკომები გარკვეულ მუშაობას ეწევიან დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების სარეალიზაციოდ. ამასთან ხაზი გაესვა, რომ ამომრჩეველთა **განაწესების შესრულებისათვის** თერჯოლის **რაიონის ადგილობრივი საბჭოების** მუშაობაში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა თერჯოლის სახალხო დეპუტატთა რაიონულ და სასოფლო საბჭოებს, მათ აღმასკომებს:

განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებები ამომრჩეველთა განაწესების მიღებისა და **შესრულების ორგანიზაციაში** არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, მთელი ეს მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირონ საქეთუწყების ტერიტორიის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტულ **ამოცანათა გადაწყვეტას;**

გააძლიერონ განაწესების შესრულებისადმი კონტროლი, **უზრუნველყონ** განაწესების რეალიზაციის **მიმდინარეობის** პერიოდული **განხილვა** სესიებზე, აღმასკომებისა და **საბჭოების** მუდმივი **კომისიების** სხდომებზე. **პრაქტიკაში** დაამკვიდრონ **აღნიშნულ** საკითხებზე **არჩეითი** და **თანამდებობის** პირების ანგარიშების **მოსმენა. აამაღლონ** დეპუტატების, **დეპუტატთა** ჯგუფების და საგუშაგოების **როლი** განაწესების **შესრულების** კონტროლის **საქმეში;**

გააძლიერონ საბჭოების **მუდმივი** კომისიების **საკონტროლო** საქმიანობა, **წინასწარ** განსახილველად **გადასცენ** მათ **წინადადებები** განაწესების **შესასრულებლად** მიღების **თაობაზე** და **მათი** განხორციელების **ღონისძიებათა** **გეგმების** **პროექტები;**

განაწესების პროექტების განხილვისა **და** **მათი** **მიღების** **დროს** **განსაკუთრებული** **ყურადღება** **მიაქციონ** **იმ** **განაწესებს,** **რომელთა** **შესრულება** **დაკავ-**

შირგბულია მნიშვნელოვან მატერიალურ, შრომითს და ფინანსურ რესურსებთან, დროულად მოახდინონ მათი ყოველმხრივი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;

გააფართოონ საჯაროობა განაწესებზე მუშაობაში; სისტემატურად მიაწოდონ მოსახლეობას ინფორმაცია მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

შექმნან საჭირო პირობები განაწესების შესრულების საქმეში დეპუტატთა უფლებამოსილების სრულყოფილებიოდ; უფრო ხშირად მიმართონ სესიებზე შეკითხვის წესით საკითხების დაყენების პრაქტიკას.

■ ■ ■

სხდომამ განიხილა აგრეთვე საკითხები სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის **გადაწყვეტილებათა შესაბამისად ხობის რაიონის** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლის ორგანოების ერთობლივი საქმიანობის პრაქტიკის შესახებ, „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულების შესასრულებლად თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომა

23 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს **მეათე სესია.**

სხდომა გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა ნ. ი. ლაღიძემ.

შეკრებილებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გარდაცვლილი დეპუტატების გ. ვ. ბედანეიშვილისა და შ. ვ. ყარყარაშვილის **ხსოვნას.**

დეპუტატებმა დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი. განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ ეკონომკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა.

2. საქართველოს სსრ 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

4. „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ და „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების **შესახებ“ სსრ** კავშირის კანონთა პროექტების **რესპუბლიკაში** საყოველთაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო განხილვის მიმდინარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესახებ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ო. გ. ვარიელაშვილმა.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა, დეპუტატმა დ. ხ. დვალიშვილმა.

ამ ორ საკითხზე დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-სამეურეტო და სხვა მუდმივ კომისიათა თანამოხსენები, რომელიც გააკეთა საგეგმო-სამეურეტო კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ლ. ი. საბურზანიამ.

მოხსენებებისა და თანამოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, დეპუტატი ი. ო. ანდრიაძე, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ო. გ. ზუბაია, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი გ. ი. ნიგოგიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, დეპუტატი ბ. ბ. ტეხოვი, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, დეპუტატი ე. დ. ამაშუკელი, საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი, დეპუტატი თ. ვ. კუნუულია, საწარმოო გაერთიანება ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გენერალური დირექტორი, დეპუტატი რ. შ. ჯეიშვილი, საქართველოს სსრ სახლმარადგების თავმჯდომარე, დეპუტატი ო. ვ. ქვილითაია, საწარმოო გაერთიანება „საქმაღლმრეწვის“ გენერალური დირექტორი ო. ა. ფაცაცია, სპეციალიზებული სამშენებლო გაერთიანების „საქწყალმშენის“ უფროსი, დეპუტატი ა. გ. მუსერიძე, თბილისის საშენ მასალათა კომბინატის ხარატი, დეპუტატი ი. ა. გოდუნოვი, ენგურჰესის მშენებლობის გაერთიანებული პროფკომის თავმჯდომარე, დეპუტატი ნ. ი. აკობია.

დეპუტატებმა მოისმინეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის, დეპუტატ ვ. ა. კვარაცხელიას მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ და მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილება.

როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა **კონტროლი დააწესა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის დადგენილების** შესრულების მიმდინარეობაზე და უზრუნველყოფს, რომ ამის შესახებ **მოხსენდეს ყოველ სესიის.**

წინა სესიაზე მიზანშეწონილად ჩაითვალა დაევალოს თბილისის სახალხო **დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს, დეპუტატ ი. ო. ანდ**რიაძეს წარმოადგინოს ინფორმაცია რესპუბლიკის დედაქალაქში საპასპორტო რეჟიმის დაცვისა და მოსახლეობის მექანიკური ზრდის შემცირების მდგომარეობის შესახებ.

ინფორმაცია წინასწარ დაურიგდათ დეპუტატებს. მის გამო მიღებულია დადგენილება. ამასთანავე, სესიის მონაწილეებს დაურიგდათ საცნობარო მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალები იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება მეექვსე სესიაზე მიღებული ... დაწყვეტილებანი საბინაო მშენებლობის განვითარების, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვის საკითხებზე.

სეიის დღის წესრიგის მეოთხე საკითხის გამო გამოვიდნენ დეპუტატები: **საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის** თავმჯდომარე გ. დ. ლორთქიფანიძე, პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი ჯ. ა. ჩარკვიანი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანი ლ. ლ. ღოღობერიძე, თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი და სამმატკრო ხელმძღვანელი რ. რ. სტურუა, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გ. ა. ყანჩელი, საქართველოს ალკაკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ვ. მარგველიძე, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ე. ნ. შენგელაია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ნ. ჯიბლაძე, საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რ. ვ. ბასარია, გორის რაიონის სოფელ ტყვავის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. ნ. ჩიხლაძე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. მ. მგალობლიშვილი, **თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალის“** მუშა ლ. პ. ბალანჩიოვაძე, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი ზ. ი. ანჯაფარიძე, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის კოლმეურნეობა „დურიფშის“ თავმჯდომარე ი. ხ. ტარკილი, ბათუმის ტრანსფორმატორის ქარხნის მუშა ლ. ო. დიასამიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი ა. ი. აზიროვი, „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტის პროექტის მთავარი არქიტექტორი ო. დ. კალანდარიშვილი.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

დეპუტატთა წინადადებით, სესიამ ერთხმად დაადგინა მოახსენონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ და „სსრ კავშირის სახალხო **დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონთა პროექტების** განხილვა **წარმოდგენილი** სახით, **საჭიროდ თვლის ამ პროექტებში შეტანილ იქნეს ის ცვლილებები, რომლებსაც** საქართველოს სსრ საზოგადოებრიობა ითხოვს, და დაჩქარდეს სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ახალი რედაქციის შემუშავება.

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიამ მუშაობა დაამთავრა.